საზოგადოებრივი მაუწყებლის
2025 წლის
IV კვარტლის

# ანგარიში

# მნიშვნელოვანი სიახლეები

- საქართველომ საზოგადოებრივი მაუწყებლისა და საქართველოს კულტურის სამინისტროს ორგანიზებით  საბავშვო ევროვიზია 2025-ს უმასპინძლა

ბმული

- პირველ არხზე თბილისის მერობის კანდიდატებს შორის დებატები გაიმართა

ბმული

- თინათინ ბერძენიშვილმა ევროპის მაუწყებელთა კავშირის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საზოგადოებრივი მედიის ლიდერების სამიტში მონაწილეობა მიიღო

ბმული

- საქართველოს პირველი არხი ახალი სეზონიდან მხედველობის დარღვევის მქონე პირებისთვის ახალ პროექტს იწყებს

ბმული

- „ეგრისის დიდი ომი“ - პირველი არხის შენობაში ახალი მხატვრულ-დოკუმენტური ფილმის პრემიერა გაიმართა

ბმული

- საქართველოს პირველ არხს ევროპის მაუწყებელთა კავშირის წარმომადგენლები ესტუმრნენ

ბმული

- საფრანგეთის ელჩი ოლივიე კურტო საქართველოს პირველ არხს სტუმრობდა

ბმული

- საქართველოს პირველი არხის კინოდარბაზში რეჟისორ ირაკლი გოქაძის ფილმის, „მაუწყებლობის 100 წელი“ პრემიერა გაიმართა

ბმული

# შინაარსობრივი მიმართულებები - პირველი არხი




საეთერო დროის 23,9% დაეთმო მხატვრულ ფილმებს

## ონლაინმედია

პირველი არხის გადაცემების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, იმისთვის, რომ მედიაპროდუქტი მაქსიმალურად იყოს გავრცელებული სოციალური ქსელების მეშვეობით და სამიზნე აუდიტორიამდე მიღწეული, კონტენტი დივერსიფიცირდა სოციალური მედიის სხვადასხვა პლატფორმაზე (ფეისბუქი, ინსტაგრამი, ტიკტოკი, იუთუბი). გარდა ამისა, თითოეულ გადაცემას აქვს თავისი ფეისბუქ გვერდი შესაბამისი სამიზნე აუდიტორიით, სადაც ქვეყნდება ამ გადაცემებიდან ვიდეო/ფოტო. კვლავ გრძელდება მათგან საუკეთესო კონტენტის განთავსდება პირველი არხის მთავარ გვერდზე, სადაც ამ პერიოდის განმავლობაში ვიდეოების საერთო ნახვაა - 16,5 მილიონი; ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 1,3 მილიონი; გვერდს დაემატა 23,400 გამომწერი.

### პირველი არხი სპორტი
ფეისბუქ-გვერდი

ვიდეოების საერთო ნახვა - 5,7 მილიონი;

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 522,800.

გვერდს დაემატა 8,200 გამომწერი.

### პირველი არხი NEWS
ფეისბუქ-გვერდი

ვიდეოების საერთო ნახვა - 13,3 მილიონი;

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 214,700.

გვერდს დაემატა 16,800 გამომწერი.

### 1tv.ge სტატისტიკა

| | IV კვარტალი 2025 | III კვარტალი 2025 |
|---|---|---|
| ნახვა | 20,180,000 | 14,000,000 |
| საშუალოდ დღეში ნახვა | 221,700 | 152,000 |
| მაქსიმალური მაჩვენებელი | 120,700 | 97,000 |
| | 11 ოქტომბერი 2025<br>მონაცემები დათვლილია google analytics, event count მიხედვით | 10 სექტემბერი 2025<br>მონაცემები დათვლილია google analytics, page view მიხედვით. |

### იუთუბარხების სტატისტიკა

| | IV კვარტალი 2025 | III კვარტალი 2025 |
|---|---|---|
| ნახვა | 25,600,000 | 22,300,000 |
| საშუალოდ დღეში ნახვა | 278,000 | 242,000 |
| მაქსიმალური მაჩვენებელი | 886,000 | 1,130,000 |
| | 14 ოქტომბერი 2025 | 7 სექტემბერი 2025 |

### TikTok
პირველი არხის ტიკ-ტოკ გვერდს 2025 წლის მეოთხე კვარტლის მონაცემებით ჰყავს 110 300 გამომწერი.

### Instagram
პირველი არხის ინსტაგრამ გვერდს 2025 წლის მეოთხე კვარტლის მონაცემებით ჰყავს 67 293 გამომწერი.

# იურიდიული სამსახურის ანგარიში

## 1. ხელშეკრულებების შესახებ

2025 წლის მე-4 კვარტალში იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა 249 ხელშეკრულება (მათ შორის, ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, საიჯარო, სარეკლამო/სასპონსორო და სხვ.).

## 2. სასამართლოში და სააღსრულებო ბიუროში არსებული საქმეების შესახებ

2.1

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" წინააღმდეგ საერთო სასამართლოებში არსებული საქმეების ნუსხა 2025 წლის მე-4 კვარტლის განმავლობაში:

| № | მოსარჩელე | დავის საგანი | საქმის წარმოების სტადია |
|---|---|---|---|
| 1 | **შპს "სტუდია ფონოგრაფი"** | სატენდერო კომისიის ოქმების და მათ საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა, შესყიდვების სააგენტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის" მოსარჩელის სასარგებლოდ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალება ტენდერთან დაკავშირებით | - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, ბათილად იქნა ცნობილი სატენდერო კომისიის ოქმები და მათ საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულება. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.<br>- თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში.<br>- სააპელაციო სასამართლოს განჩინების ჩაბარების შემდეგ, საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ წარდგენილი იქნება საკასაციო საჩივარი |
| 2 | **საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია** | საჯარო ინფორმაციის (ტექნიკური გადაიარაღების სამოქმედო გეგმის) გაცემასთან დაკავშირებით ქმედების განხორციელების დავალება | - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. |
| 3 | **საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია** | საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აქტის ბათილად ცნობა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში სოციალური რეკლამის განთავსება | - მოცემულ საქმეზე სსიპ "საზოგადოებრივი" მაუწყებელი ჩართულია მესამე პირად.<br>- თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. |
| 4 | **მარიამ სონიშვილი** | ვადის განსაზღვრის ნაწილში შრომითი ხელშეკრულების ბათილად ცნობა, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება | - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. |
| 5 | **თამთა ჯანაძე** | სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება | - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.<br>- თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ უცვლელი დარჩა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება. |
| 6 | **სოფიო ზედელაშვილი** | სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება, დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენა და მორალური ზიანის ანაზღაურება 1 ლარის ოდენობით | - საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში. |

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 | **არაზ მაშოვი** | სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება | - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. |
| 8 | **ნიკოლოზ ცერცვაძე** | სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, კომპენსაციის გადახდა, განაცდურის ანაზღაურება | - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. |
| 9 | **ნინო ზაუტაშვილი** | სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება | - საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში. |
| 10 | **ვასილ ივანოვ-ჩიქოვანი** | სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება | - საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.<br>- მოსარჩელის მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოში. |
| 11 | **ქეთევან კაპანაძე<br>იოსებ კაციტაძე<br>თამარ მშვენიერაძე<br>ომარ წოწორია<br>ტუხა კვინიკაძე** | სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება | - საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში. |
| 12 | **მერი შიხაშვილი** | სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება | - საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში. |

## *2.2*

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ საერთო სასამართლოებში აღძრულ სარჩელებთან დაკავშირებით არსებული საქმეების ნუსხა 2025 წლის მე-4 კვარტლის განმავლობაში:

| № | მოპასუხე | დავის საგანი | საქმის წარმოების სტადია |
|---|---|---|---|
| 1 | **შპს "პრაიმ თაიმი"** | 24 633 81 ლარის ოდენობით საიჯარო ქირის ძირითადი ფულადი დავალიანების, ასევე, დარიცხული პირგასამტეხლოს ანაზღაურება | - საქმეზე შპს "პრაიმ თაიმი"-ს წინააღმდეგ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული იქნა მეორე (განმეორებითი) დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რაც მოპასუხის მიერ გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში მხოლოდ პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში, რაც თბილისის საპელაციო სასამართლოს მიერ არ დაკმაყოფილდა.<br>- ამ ეტაპზე საზოგადოებრივმა მაუწყებელმა სასამართლოსგან მოითხოვა ძირითადი თანხის დაკისრების ნაწილში სააღსრულებო ფურცლის გაცემა. |
| 2 | **სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დავების განხილვის საბჭო** | ინდ. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობა და ახალი აქტის გამოცემა | - სასამართლოს 20,11,2020წ. განჩინებით, რომელიც სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" ჩაბარდა 2021 წლის 28 აპრილს (5 თვის დაგვიანებით), სარჩელი ცნობილი იქნა დაუშვებლად, რაც საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოს განჩინებით საზოგადოებრივი მაუწყებლის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა და საქმე განსახილველად დაუბრუნდა საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. |

2.3

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ საერთო სასამართლოებში აღძრულ სარჩელებთან დაკავშირებით დაწყებული სააღსრულებო წარმოება:

- თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია საქმეები სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" შემდეგი მოვალეების მიმართ: შპს "კიკალა სტუდიო ტვ"-ს, შპს "ნიუ-რაციოს", შპს "ეი-სი ჯგუფი"-ს, "სატელიტური დაცვის სისტემების უზრუნველყოფის ფონდი"-ს, შპს "ფენიქსის", შპს "კინოსტუდია სანგუკო"-ს, შპს "რაქი"-ს, შპს "ლაივ პრომო"-ს, შპს "ტელე-რადიოკომპანია ტვ-7"-ის, შპს "ნონეიმ სტუდიო"-ს, შპს "მილ პოინტი"-ს, შპს "ნ და გ კომპანის", შპს "S.T. იმპორტი"-ს, შპს "აიბი გრუპი"-ს, შპს "მედია ჯგუფი"-ს, შპს ტელეკომპანია "პიკ"-ის, შპს "საზოგადოებრივი კოლეჯი 21-ე საუკუნე"-ს, შპს "საერთაშორისო ბიზნეს განვითარების ცენტრი"-ს, შპს "ამპლიტუდა"-ს, შპს "გრინ ბილდინგი"-ს, შპს "კრეატივ ქორნერი"-ს, შპს "დუტა პროდაქშენ"-ის, შპს "ევრო-კავკასიური უნივერსიტეტი"-ს, ა(ა)იპ "საკალათბურთო კლუბი ვითა"-ს, შპს "პიართაიმი"-ს, შპს "ბიოფუდჯორჯია"-ს, ა(ა)იპ "ინტეგრაცია - გზა ნატოსკენ და ევროკავშირისკენ", შპს "ტიფლის ტვ"-ის, შპს "რადიო უცნობის", შპს"Georgian Water & Company" და შპს "სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2"-ის მიმართ (თუმცა, შპს "სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2"-ის მიმართ, სასამართლოს განჩინებით, სააღსრულებო წარმოება ერთჯერადად გადაიდო 3 თვის ვადით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, განახლდა სააღსრულებო წარმოება, თუმცა სააღსრულებო წარმოება 2022 წლის იანვარში კვლავ გადაიდო განსაზღვრული ვადით, რადგან სასამართლო იხილავს შპს "სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2"-ის განცხადებას საქმის წარმოების განახლების თაობაზე. ამ ეტაპამდე ჩვენთვის უცნობია სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ).

- თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია ასევე საქმე გადახდისუუნარობის (გაკოტრების) შესახებ შპს "სქაი ჯორჯია"-ს მიმართ. სასამართლოს მიერ გაკოტრების მმართველად დანიშნულია თბილისის სააღსრულებო ბიურო. სასამართლოში გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას (რომელიც გაიხსნა სასამართლოს 18.05.2010წ. განჩინებით), აღნიშნული კომპანიის მიმართ სასამართლოს მიერ აღიარებული იქნა სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მოთხოვნა მხოლოდ 1 403,23 ლარის ოდენობით. რაც შეეხება სხვა დავალიანებას, რომელიც შპს "სქაი ჯორჯია"-ს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიმართ წარმოეშვა სარეკლამო მომსახურების საფუძველზე, სასამართლოს მიერ აღნიშნული დავალიანება აღიარებული არ იქნა. შესაბამისად, კანონის თანახმად, სასამართლოში წარდგენილი იქნა სარჩელი სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სასარგებლოდ შპს "სქაი ჯორჯია"-სთვის 14 318,01 ლარის დაკისრების შესახებ, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 15.11.2011წ. გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სრულად და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში. მაგრამ იმის გამო, რომ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დროს უკვე დაწყებული იყო შპს "სქაი ჯორჯია"-ს მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება და გაკოტრების მმართველად დაინიშნა თბილისის სააღსრულებო ბიურო, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სასამართლოს ხელახლა უნდა მოეწვია კრედიტორთა კრება და მიელო გადაწყვეტილება 14 318,01 ლარის ოდენობით შპს "სქაი ჯორჯიას" მიმართ საზოგადოებრივი მაუწყებლის მოთხოვნის აღიარების თაობაზე. სასამართლოს მიერ ჩატარდა კრედიტორთა კრება. სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" განცხადება დაკმაყოფილდა და მისი მოთხოვნა აღიარებული იქნა კრედიტორთა მე-6 რიგის მოთხოვნებში. 2024 წლის 29 აპრილს ჩატარდა მორიგი კრედიტორთა კრება საქალაქო სასამართლოში და შპს "სქაი ჯორჯიას" აქტივების მოძიების მიზნით რიგი ღონისძიებების ჩატარების გამო კრება გადაიდო.

## ***3. საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ***

2025 წლის მე-4 კვარტალში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" განცხადება არ შემოსულა.

## 4. სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" წარმოდგენილი საჩივრების შესახებ

ა) ადმინისტრაციული საჩივრების შესახებ

2025 წლის მე-4 კვარტლის განმავლობაში სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" ადმინისტრაციული საჩივარი არ შემოსულა.

ბ) თვითრეგულირების ორგანოში/კომისიაში წარმოდგენილი საჩივრების შესახებ

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის #2 დადგენილებით დამტკიცებული "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" საფუძველზე, სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" შექმნილია თვითრეგულირების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების განხილვას. 2025 წლის მე-4 კვარტლის განმავლობაში სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებლის" თვითრეგულირების ორგანოში საჩივარი არ შემოსულა.

## 5. სხვა საკითხების შესახებ

იურიდიული სამსახური თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე, მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით იძლევა სამართლებრივ კონსულტაციებს, ამზადებს სხვადასხვა სახის დოკუმენტებს (წერილებს, ბრძანებებს, მემორანდუმებს, შესაბამის აქტებს, სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებებს და ა.შ.).

# ანგარიში

## საზოგადოებრივი მაუწყებლის 2025 წლის IV კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

## ბიუჯეტის შესრულების ზოგადი პარამეტრები

“საზოგადოებრივი მაუწყებლის” სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული 2025 წლის IV კვარტლის მთლიანმა ბიუჯეტმა შეადგინა 32,811,499 ლარი.

“საზოგადოებრივი მაუწყებლის” მიერ 2025 წლის IV კვარტლის განმავლობაში ჯამურად მიღებულმა საკასო შემოსავალმა შეადგინა 28,483,415 ლარი. აქედან, 21,061,435 ლარი შეადგინა სახელმწიფო ასიგნებამ, 408,295 ლარი - კომერციული საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა, ხოლო 7,013,685 ლარი - სხვა არასაოპერაციო საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა. 2025 წლის IV კვარტლის განმავლობაში, მაუწყებლის მიერ გაწეულმა ჯამურმა საკასო ხარჯმა შეადგინა 21,787,262 ლარი.

2025 წლის IV კვარტლის დასაწყისში, მაუწყებლის ანგარიშზე აკუმულირებული ფულადი ნაშთი შეადგენდა 26,102,660 ლარს, ხოლო IV კვარტლის დასასრულს დარჩენილმა საკასო ნაშთმა შეადგინა 32,477,029 ლარი.

მოცემულ პერიოდში სამეურვეო საბჭოს მიერ გაწეული ხარჯი: 321,175 ლარი.

2025 წლის IV კვარტლის დაგეგმილი ბიუჯეტისა და გაწეული საკასო ხარჯის შედარება:

### ძირითადი მიმართულებების მიხედვით ბიუჯეტის გეგმა და მისი შესრულება

| | ბიუჯეტი | ხარჯი | სხვაობა |
|---|---|---|---|
| გენერალური დირექტორი და დაქვემდებარებული სამსახურები | 205,650 | 226,004 | (20,354) |
| საერთო და ადმინისტრაციული | 3,043,350 | 2,164,686 | 878,663 |
| ახალი და მიმდინარე ამბები | 3,546,471 | 3,424,502 | 121,970 |
| მედია | 7,263,114 | 4,620,058 | 2,643,056 |
| ტექნიკური ხარჯი | 3,075,724 | 4,772,695 | (1,696,971) |
| ონლინ მედია | 307,841 | 281,822 | 26,020 |
| სხვა სამაუწყებლო ხარჯი | 2,456,812 | 888,420 | 1,568,392 |
| საინვესტიციო ხარჯი | 12,103,353 | 4,932,275 | 7,171,078 |
| ფინანსური ხარჯი | 809,184 | 476,800 | 332,384 |
| **მთლიანი ბიუჯეტი** | **32,811,499** | **21,787,262** | **11,024,238** |

როგორც მოცემული ცხრილიდან ჩანს, 2025 წლის IV კვარტლის ჯამურმა საკასო ხარჯმა შეადგინა ბიუჯეტირებულთან შედარებით 11 მლნ. 24 ათასი ლარით ნაკლები. აღნიშნული გარემოება განპირობებულია რამდენიმე მიზეზით: ხარჯების ნაწილი პროექტების ვადებიდან გამომდინარე გადავიდა 2026 წელს; ნაწილი მე-4 კვარტლის დადგომამდე იქნა ანაზღაურებული (რაც ასახულია წინა კვარტლების ანგარიშებში); ნაწილზე კი დაფიქსირდა ეკონომია.

დეტალური განმარტება აღნიშნული სხვაობის მნიშვნელოვან კომპონენტებზე მოცემულია ცხრილში:

| ხარჯის მუხლი | თანხა | განმარტება |
| --- | --- | --- |
| კომუნალური ხარჯები | 282,156 | დაფიქსირდა ეკონომია. |
| ავტოპარკი | 630,026 | ავტოპარკის განახლებისთვის გათვალისწინებული თანხა გადატანილია 2026 წლის ბიუჯეტში. |
| გარეწარმოება | 1,398,719 | პროექტების საწარმოო გეგმების მიხედვით, თანხის ათვისება მოხდება 2026 წელს. |
| მხატვრული ტელესერიალები | 750,000 | სერიალის წარმოებისას ტელევიზია გამოიყენებს საკუთარ რესურსს, ამიტომ გარეწარმოების ნაწილში ფიქსირდება დანაზოგი და ეს თანხა ნაწილდება სხვადასხვა მუხლებში (მივლინებები, იჯარები, მსახიობების ხელფასები და ა.შ.). |
| შესყიდვები მედია | 602,922 | ეს მუხლიც მიბმულია პროექტების საწარმოო გეგმებზე და ხარჯვა გათვალისწინებულია 2026 წლის ბიუჯეტში. |
| სხვა სამაუწყებლო ხარჯი | | ფეხბურთში მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატის ლიცენზიის საფასური ანაზღაურდება 2026 წელს. ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ლიცენზია შეიძინა სხვა იურიდიულმა პირმა. ამდენად, მისი გადახდა აღარ არის გათვალისწინებული. |
| მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატი | 590,222 | |
| მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში 2026 | 960,000 | |
| საინვესტიციო საქმიანობაზე გაწეული ხარჯი | | |
| მშენებლობის ხარჯები | 1,680,356 | ერთ-ერთი კონტრაქტორის მხრიდან ვერ მოხდა დაგეგმილ ვადებში სამუშაოების განხორციელება (რაზეც მას ერიცხება პირგასამტეხლო), შესაბამისად, მეოთხე კვარტალში არ იქნა ანაზღაურებული ეს თანხა. |
| პროექტირების და ზედამხედველობის ხარჯი | 174,670 | მიბმულია სამუშაოების შესრულებაზე და შესაბამისად, აქაც დაფიქსირდა ჩამორჩენა ათვისებაში. |
| პროგრამული უზრუნველყოფა - გრძელვადიანი | 1,305,301 | შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა კლასიფიცირდა როგორც მოკლევადიანი, შესაბამისად, ამ მუხლში დაფიქსირდა დანაზოგი. თუმცა, "ტექნიკური ხარჯის" მუხლში, რომელშიც შედის მოკლევადიანი ტექნიკური უზრუნველყოფის ხარჯები, დაფიქსირდა გადახარჯვა. ჯამურად, ხარჯები დაბალანსებულია და ჯდება წლიურ პარამეტრებში. |
| საინვესტიციო პროექტების რეზერვი | 2,250,000 | ეს თანხა ისედაც რეზერვისთვის იყო გათვალისწინებული და არ იგეგმებოდა მისი დახარჯვა. |

## ბიუჯეტის შესრულება, 2025 IV კვ.




## შრომის ანაზღაურება

საზოგადოებრივი მაუწყებლის 2025 წლის IV კვარტლის შრომის ანაზღაურებაზე ბიუჯეტირებული თანხა განისაზღვრა 9,439,556 ლარით. აქედან, ფაქტობრივმა გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 9,264,995 ლარი. IV კვარტლის ფაქტობრივმა სახელფასო ხარჯმა, ბიუჯეტთან შედარებით, 174 ათასი ლარით ნაკლები შეადგინა.

## 2025 წლის IV კვარტლის შრომის ანაზღაურების გადანაწილება ბლოკების მიხედვით:

| | ბიუჯეტი | ხარჯი | სხვაობა |
|---|---|---|---|
| გენერალური დირექტორი და დაქვემდებარებული სამსახურები | 205,650 | 226,004 | (20,354) |
| ფინანსები, ადმინისტრაცია, მარკეტინგი | 845,795 | 905,674 | (59,880) |
| ახალი და მიმდინარე ამბები | 3,077,852 | 2,913,298 | 164,554 |
| მედია | 2,807,583 | 2,888,803 | (81,220) |
| ტექნიკა და ტექნოლოგიები | 2,163,099 | 2,100,671 | 62,428 |
| ონლაინ მედია | 264,578 | 230,544 | 34,034 |
| სხვა ფინანსური ხარჯი | 75,000 | - | 75,000 |
| **ჯამი:** | **9,439,556** | **9,264,995** | **174,561** |

## ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲐᲜᲐᲖᲦᲐᲣᲠᲔᲑᲐ




## ᲛᲘᲕᲚᲘᲜᲔᲑᲐ

2025 წლის IV კვარტლის ბიუჯეტით განსაზღვრული სამივლინებო ხარჯი შეადგენდა 246,662 ლარს, ხოლო ფაქტობრივმა სამივლინებო ხარჯმა შეადგინა 243,701 ლარი, რაც დაგეგმილთან შედარებით 2 960 ლარით ნაკლებია.

## ᲡᲐᲛᲘᲕᲚᲘᲜᲔᲑᲝ ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ:

| | ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ | ᲮᲐᲠᲯᲘ | ᲡᲮᲕᲐᲝᲑᲐ |
|---|---|---|---|
| ფინანსები, ადმინისტრაცია, მარკეტინგი | 25,403 | 36,473 | 11,071 |
| ახალი და მიმდინარე ამბები | 151,434 | 172,945 | 21,512 |
| მედია | 64,319 | 31,683 | 32,636 |
| ტექნიკა და ტექნოლოგიები | 5,507 | 2,600 | 2,907 |
| **ᲯᲐᲛᲘ:** | **246,662** | **243,701** | **2,960** |

ხარჯები ნაწილდება შემდეგნაირად:

## მივლინება




## საინვესტიციო ხარჯები:

2025 წლის IV კვარტლის განმავლობაში მაუწყებლის მიერ გაწეულ იქნა 4,932,275 ლარის საინვესტიციო ხარჯი:

| | |
|---|---|
| ახალი შენობის მშენებლობა | 1,357,458 |
| ტექნიკური აღჭურვა | 1,088,991 |
| მექანიკური პროდუქცია | 1,274,638 |
| სტუდიის დეკორაციები | 1,211,189 |

## ფინანსური ხარჯები:

2025 წლის IV კვარტლის განმავლობაში მაუწყებლის მიერ გაწეულ იქნა 476,800 ლარის კაპიტალური ხარჯი:

| | |
|---|---|
| საგადასახადო ხარჯი | 296,176 |
| სხვა ფინანსური ხარჯი | 180,624 |

## ლიცენზიები

მაუწყებლის მიერ 2025 წლის IV კვარტლის განმავლობაში სპორტული ლიცენზიების შესყიდვაზე გადახდილ იქნა 341,753 ლარი.

| | |
|---|---|
| FIBA 2022-2025 | 40,646 |
| Winter 2026 | 8,382 |
| ბიატლონი, სნოუბორდი, ფრისტაილი და სათხ. მსოფ. | 97,618 |
| Rugby WC 2025-27 | 195,108 |

## კომერციული შემოსავლები

2025 წლის IV კვარტლის განმავლობაში, საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ საკუთარი სახსრებით მოზიდულმა თანხამ შეადგინა 7,421,980 ლარი. აღნიშნული თანხიდან სასპონსორო-სარეკლამო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი იყო 404,873 ლარი; საარქივო საქმიანობიდან შემოსავალი - 3,422 ლარი; ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი - 5,761,350 ლარი; დეპოზიტის პროცენტი - 975,186 ლარი; სხვა არასაოპერაციო შემოსავლები - 277,148 ლარი.

2025 წლის IV კვარტლის კომერციული შემოსავლები

| | | |
|---|---|---|
| **კომერციული საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები** | | **408,295** |
| რეკლამიდან მიღებული შემოსავალი | 158,753 | |
| სპონსორობა | 246,120 | |
| საარქივო მომსახურება | 3,422 | |
| **სხვა არასაოპერაციო/ფინანსური შემოსავალი** | | **7,013,685** |
| **ჯამი** | | **7,421,980** |

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ, 2025 წლის IV კვარტლის განმავლობაში გაწეული ხარჯების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი N1.

# დანართი N1

| დასახელება | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი | ჯამი IV კვ. |
|---|---|---|---|---|
| საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული ხარჯი | 4,984,731 | 4,336,490 | 7,056,965 | 16,378,186 |
| გენერალური დირექტორი და დაქვემდებარებული სამსახურები | 69,606 | 65,856 | 90,543 | 226,004 |
| შრომის ანაზღაურება | 69,606 | 65,856 | 90,543 | 226,004 |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი | 651,859 | 585,563 | 927,265 | 2,164,686 |
| შრომის ანაზღაურება | 295,275 | 250,637 | 359,762 | 905,674 |
| მივლინება | 14,079 | 13,022 | 9,372 | 36,473 |
| მარკეტინგი | 20,972 | 35,593 | 74,662 | 131,226 |
| კომუნალური ხარჯები | 159,110 | 128,183 | 256,519 | 543,812 |
| ავტოპარკი | 40,113 | 45,907 | 59,698 | 145,718 |
| საოფისე ხარჯი | 119,289 | 103,188 | 135,445 | 357,922 |
| წარმომადგენლობითი ხარჯი | 3,021 | 9,033 | 31,806 | 43,860 |
| ახალი და მიმდინარე ამბები | 1,100,527 | 1,164,415 | 1,159,560 | 3,424,502 |
| შრომის ანაზღაურება | 924,624 | 927,705 | 1,060,969 | 2,913,298 |
| მივლინება | 63,208 | 61,992 | 47,746 | 172,945 |
| უცხოური საინფ. სააგ/სიგნალის გადმოგორება | 36,850 | 100,409 | - | 137,259 |
| ბიზნეს პარტნიორი | 75,845 | 74,309 | 50,846 | 201,000 |
| მედია | 858,823 | 1,142,917 | 2,618,318 | 4,620,058 |
| შრომის ანაზღაურება | 786,879 | 876,472 | 1,225,453 | 2,888,803 |
| მივლინება | 2,600 | - | - | 2,600 |
| ვებ მაუწყებლობის და სიგნალის გავრცელების ხარჯები | 10,493 | 205,111 | 367,250 | 582,855 |
| შრომის ანაზღაურება | 75,421 | 71,194 | 83,929 | 230,544 |
| ქართული ფილმები | 500 | 3,000 | 13,650 | 17,150 |
| საინვესტიციო საქმინობაზე გაწეული ხარჯი | 2,571,021 | 892,680 | 1,468,575 | 4,932,275 |
| ახალი შენობის მშენებლობა | 860,445 | 206,355 | 290,658 | 1,357,458 |
| მშენებლბის ხარჯები | 842,025 | 206,355 | 277,445 | 1,325,825 |
| ზედამხედველობის ხარჯი | 18,420 | - | 13,213 | 31,633 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ტექნიკური აღჭურვა | 853,464 | 89,757 | 145,770 | 1,088,991 |
| კომპიუტერული ტექნიკა | - | - | 2,540 | 2,540 |
| სტუდიური აპარატურა | 853,464 | 89,007 | 120,384 | 1,062,855 |
| სხვა დანარჩენი ტექნიკის შესყიდვა | - | 750 | 22,846 | 23,596 |
| არამატერიალური აქტივი | 336,074 | - | 938,564 | 1,274,638 |
| მექანიკური პროდუქცია | 336,074 | - | 938,564 | 1,274,638 |
| სხვა საინვესტიციო ხარჯი | 521,038 | 596,567 | 93,583 | 1,211,189 |
| სტუდიის დეკორაცია | 521,038 | 596,567 | 93,583 | 1,211,189 |
| ფინანსური ხარჯი | 124,526 | 161,861 | 190,413 | 476,800 |
| საგადასახადო გადასახდელები | 80,000 | 115,853 | 100,323 | 296,176 |
| დღგ (რეალიზაციის, უკუდაბეგვრის) | 80,000 | 110,000 | 93,418 | 283,418 |
| მიწის გადასახადი | - | 5,853 | - | 5,853 |
| მოგების გადასახადი | - | - | 6,905 | 6,905 |
| სხვა ფინანსური ხარჯი | 44,526 | 46,008 | 90,090 | 180,624 |
| საავტორო უფლებები | 44,526 | 46,008 | 90,090 | 180,624 |
| სამეურვეო საბჭო | 83,855 | 83,730 | 154,200 | 321,785 |
| სამეურვეო საბჭოს წევრების ჰონორარი | 70,380 | 70,380 | 134,675 | 275,435 |
| სხვა ხარჯი | 13,475 | 13,350 | 19,525 | 46,350 |
| აპარატის ხელფასი | 13,475 | 13,350 | 17,725 | 44,550 |
| საკონსულტაციო ხარჯი | - | - | 1,800 | 1,800 |
| ჯამი | 7,764,133 | 5,474,761 | 8,870,153 | 22,109,047 |